საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი აცხადებს კონკურსს ცენტრსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის 2016 წლის 20 ივლისს ხელმოწერილი სტანდარტული შეთანხმების წერილით გათვალისწინებული პროექტის - „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სისტემების გაფართოება და პროფესიული განათლების მოდერნიზაცია“ - პროექტის პირველი კომპონენტის - ზოგადი განათლების კომპონენტის ინტეგრაცია პროფესიულ განათლებაში - ფარგლებში პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის **შერჩევის მიზნით**

კონკურსი ცხადდება **2017 წლის 04 იანვარს** და განცხადებების წარდგენის **ბოლო ვადაა 2017 წლის 09 იანვრამდე.**

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა წერილის სათაურის ველში აუცილებლად უნდა მიუთითოს ვაკანსიის დასახელება „**პირველი კომპონენტის ხელმძღვანელი”,** წინააღმდეგ შემთხვევაში არ მოხდება განაცხადის განხილვა.

ადგილების რაოდენობა – 1;

კონკურსის შედეგად, პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე შეჩეულ პირთან გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება ცენტრის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოშობილ შრომით ურთიერთობებზე და ამ ვადის განმავლობაში მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვროს თვეში 2467 ლარის ოდენობით.

პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის თანამდებობის მიმართ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) აკადემიური უმაღლესი განათლება - მაგისტრის/მაგისტრთან გათანაბრებულის აკადემიური ხარისხი;

ბ) პროფესიული ან ზოგადი განათლების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება;

გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება;

დ) პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმისა და კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნა, პროფესიულ განათლებაში ევროპული პოლიტიკისა და მიდგომების ცოდნა;

ე) ანალიტიკური უნარების, აკადემიური წერის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების ფლობა.

პროექტის პირველი კომპონენტის ხელმძღვანელის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:

ა) კომპონენტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების მიზნით დეტალური სამოქმედო გეგმის მომზადება და შეთანხმების კოორდინატორთან შეთანხმება;

ბ) კომპონენტის ექსპერტთა საქმიანობის ხელმძღვანელობა, ექსპერტთა შორის სამუშაოს განაწილება, მათთვის მკაფიო მითითებების მიცემა, შუალედური და საბოლოო უკუკავშირის მიცემა შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით;

გ) პროფესიულ განათლებაში ზოგადსაგანმანათლებლო კომპონენტის ინტეგრირების პილოტირების მონიტორინგის კოორდინაცია, პროცესის ხელმძღვანელობა, კოლეჯებში ვიზიტები და სხვ.;

დ) მასწავლებელთა გზამკვლევების შემუშავების პროცესის კოორდინაცია;

ე) შესასრულებელი სამუშაოს თემატიკასთან დაკავშირებით სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა, სამუშაო შეხვედრების საფუძველზე გამოკვეთილი მოსაზრებების ანალიზი და დოკუმენტირება;
ვ) კომპონენტის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის ანალიზი, ექსპერტების მიერ შესრულებულ სამუშაოზე დასკვნების მომზადება და შეთანხმების კოორდინატორისთვის მიწოდება;
ზ) ყოველი თვის ბოლოს, განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა შეთანხმების კოორდინატორისათვის.
თ) საჭიროების შემთხვევაში, პროექტის სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრებში მონაწილეობა და მოთხვნილი ინფორმაციის წარდგენა.

კონკურსში მონაწილე კანდიდატმა ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე, info@eqe.ge აუცილებლად უნდა გამოგზავნოს:
ა) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ავტობიოგრაფია - (CV) ქართულ ენაზე;
გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:
ა) განცხადებების გადარჩევა;
ბ) გასაუბრება.